საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№150 2020 წლის 23 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის გარეშე, იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – იუსტიციის სახლს (შემდგომში – იუსტიციის სახლი) მიეცეს თანხმობა, აუქციონის გარეშე, 5 წლის ვადით, იჯარის უფლებით გადასცეს შპს „მაგთიკომს“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №45.18.22.015) განთავსებული საზოგადოებრივი ცენტრის შენობა-ნაგებობის ნაწილი – 3 კვ. მ ფართი;

ბ) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის:

ბ.ა) დაბა მანგლისში მდებარე საზოგადოებრივი ცენტრის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №84.18.39.063.063) განთავსებული შენობა-ნაგებობის ნაწილი – 3 კვ. მ ფართი;

ბ.ბ) სოფელ კოდაში მდებარე საზოგადოებრივი ცენტრის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №84.06.33.086) განთავსებული შენობა-ნაგებობის ნაწილი – 3 კვ. მ ფართი;

გ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დაბა შორაპანში მდებარე საზოგადოებრივი ცენტრის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №32.19.32.031) განთავსებული შენობა-ნაგებობის ნაწილი – 3 კვ. მ ფართი.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ თითოეულ ფართზე ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 671 (ექვსას სამოცდათერთმეტი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**